ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
სამართლის სამაგისტრო პროგრამის სისხლის სამართლის
მიმართულების მე-4 სემესტრის სტუდენტის

ლუკა ფავლენიშვილის

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული დანაშაულის კრიმინალიზაციის თავისებურებანი ქართულ სისხლის სამართალში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ბადრი ნიპარიშვილი**

თბილისი

2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი.

ლუკა ფავლენიშვილი

21.06.2025

ანოტაცია

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული დანაშაულის კრიმინალიზაციის თავისებურებების შესწავლას ქართულ სისხლის სამართლის სივრცეში. კვლევის აქტუალობა განპირობებულია კრიპტოვალუტის, როგორც თანამედროვე ციფრული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, სწრაფი განვითარებითა და იმ სამართლებრივი გამოწვევებით, რომლებსაც იგი უქმნის არსებული ნორმატიული ჩარჩოების ეფექტიანობას. აღნიშნულ თემაზე სამართლებრივი მიდგომები მსოფლიოს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, რაც ამ თემის შესწავლას სიღრმისეულ და საჭირო კვლევად აქცევს საქართველოს კონტექსტშიც.

ნაშრომის მიზანი არის კრიპტოვალუტის სამართლებრივი სტატუსის, შესაბამისი საფრთხეებისა და დანაშაულებრივი გამოყენების სამართლებრივი რეაგირების ფორმების ანალიზი. მიზნის მისაღწევად კვლევაში გამოყენებული იქნა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ-ემპირიული მეთოდები. ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა Google Forms-ის პლატფორმაზე. მასში მონაწილეობა მიიღო 100-მა რესპონდენტმა. შეკითხვის ძირითადი ხაზები შეეხებოდა კრიპტოვალუტის შესახებ ინფორმირებულობის დონეს, მისი დანაშაულებრივი პოტენციალის აღქმას, სამართლებრივი რეაგირების შეფასებასა და სამართლებრივი რეგულაციის მხარდაჭერას.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ საზოგადოებაში კრიპტოვალუტის დანაშაულებრივ რისკებთან დაკავშირებული ცნობიერება მაღალია, თუმცა სამართლებრივი ცოდნა — ფრაგმენტული და ხშირად არაზუსტი. მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ მოქმედი კანონმდებლობა არასაკმარისია კრიპტოვალუტით ჩადენილი დანაშაულის პრევენციისთვის. სწორედ ეს შეფასებები შეესაბამება აკადემიურ ლიტერატურასა და საერთაშორისო კვლევებში

დაფიქსირებულ მოსაზრებებს. მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული დანაშაულების აღქმის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება რეალურია, თუმცა სამართლებრივი სისტემის მიერ შეთავაზებული მექანიზმები არ აკმაყოფილებს თანამედროვე ციფრული საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტიანი რეაგირების მოთხოვნებს.

ლოგისტიკური და ლინკური რეგრესიის ანალიზმა დაადასტურა, რომ ინფორმირებულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია კრიპტოვალუტის სამართლებრივი რეგულაციის სრულ მხარდაჭერაში. თუმცა ANOVA ტესტით დადგინდა, რომ ასაკობრივი განსხვავებები ინფორმირებულობის დონეზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არაა. ეს მიანიშნებს, რომ პრობლემა არაა თაობაზე ფოკუსირებული, არამედ ზოგად საგანმანათლებლო და სამართლებრივი პოლიტიკის ნაკლოვანებაშია.

ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები მიზნად ისახავს საქართველოს სისხლის სამართლის სივრცის ციფრულ გარემოსთან ადაპტირებას. წარმოდგენილია კონკრეტული სამართლებრივი ცვლილებებისა და საგანმანათლებლო ინტერვენციების რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ პრევენციას, არამედ მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებასაც. აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კრიპტოვალუტის სამართლებრივი რეგულაციის განვითარებაში საქართველოში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ქვეყანა ცდილობს ევროინტეგრაციის პროცესში დააკმაყოფილოს გლობალური ფინანსური უსაფრთხოების სტანდარტები.

საკვანძო სიტყვები: *კრიპტოვალუტა, დანაშაული, კრიმინალიზაცია, სისხლის სამართალი, სამართლებრივი რეგულაცია, საქართველოს კანონმდებლობა, ციფრული საფრთხე, საზოგადოებრივი აღქმა.*

Annotation

This master's thesis is dedicated to the study of the features of the criminalization of crimes related to cryptocurrency in the Georgian criminal justice system. The relevance of the research is due to the rapid development of cryptocurrency, as one of the important components of the modern digital economy, and the legal challenges it poses to the effectiveness of existing normative frameworks. Legal approaches to this topic are still in the process of formation in various jurisdictions around the world, which makes the study of this topic an in-depth and necessary study in the Georgian context as well.

The aim of the paper was to analyze the legal status of cryptocurrency, the corresponding threats and forms of legal response to criminal use. To achieve the goal, both theoretical and practical-empirical methods were used in the study. A quantitative survey was conducted on the Google Forms platform, in which 100 respondents participated. The main lines of the question concerned the level of awareness of cryptocurrency, the perception of its criminal potential, the assessment of legal response and support for legal regulation.

The research revealed that the public awareness of the criminal risks of cryptocurrency is high, but legal knowledge is fragmentary and often inaccurate. A significant part of citizens believe that the current legislation is insufficient to prevent crimes committed with cryptocurrency. These assessments are consistent with the opinions expressed in academic literature and international studies. The data obtained show that the public's attitude towards crimes related to cryptocurrency is real, although the mechanisms offered by the legal system do not meet the requirements for an effective response to modern digital threats.

Logistic and link regression analyses confirmed that awareness is a significant factor in overall support for legal regulation of cryptocurrencies. However, the ANOVA test revealed that age differences in awareness levels were not statistically significant. This suggests that the problem is not generational, but rather a lack of general educational and legal policies.

The conclusions and recommendations presented in the paper aim to adapt the criminal justice system of Georgia to the digital environment. Recommendations for specific legal amendments

and educational interventions are presented, which will contribute not only to prevention, but also to raising the legal awareness of citizens. This study will make a significant contribution to the development of legal regulation of cryptocurrency in Georgia, especially in the conditions when the country is trying to meet global financial security standards in the process of European integration.

Keywords: cryptocurrency, crime, criminalization, criminal law, legal regulation, Georgian legislation, digital threat, public perception.